წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის
ო ქ მ ი №21

ქ. თბილისი *09.07.09 წ.*

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესის დამტკიცება.
2. უნივერსიტეტის ცალკეული ფართების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

სხდომას ესწრებოდა:

წარმომადგენლობითი საბჭო – 20 წევრით

თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი რომან ხარბედია, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ლელა ბენიძე და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი დავით ჩერქეზიშვილი;

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგი:
კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 20
მომხრე – 20;
წინააღმდეგი – 0;

თავი შეიკავა – 0;

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის №244 დადგენილება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ".

ზემოხსენებულ საკითხზე გაიმართა მსჯელობა. აზრი გამოთქვეს: გ. ჟორჟოლიანმა და თამარ შოთაძემ.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა -20
მომხრე – 20;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის №244 დადგენილება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ" წარმოდგენილი სახით.

2. მეორე საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადაეცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს რომან ხარბედიას. მან აღნიშნა შემდეგი:

1) უნივერსიტეტის ადმინისტრაციას თხოვნით მომართავენ სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელი პირები (საქართველოს კონტროლის პალატა, ადვოკატთა ასოციაცია, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ნოტარიუსთა პალატა, სააღსრულებო ბიურო და სხვ), რათა გავუწიოთ ფართით (დარბაზებით) მომსახურება გამოცდების, ტრენინგების, ტესტირებების, ასევე სხვადასხვა სემინარებისა და სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარების მიზნით. ძირითადად მოთხოვნაა უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში არსებულ ფიზიკის დიდ აუდიტორიაზე, მაღლივ (X) სასწავლო კორპუსში არსებულ ფართზე, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დარბაზებზე და ა.შ.

გთხოვთ, როგორც ზემოაღნიშნული ობიექტების უზუფრუქტუარს, დაგვრთოთ ნება, ხელშეკრულების საფუძველზე გავუწიოთ დამკვეთს ფართით მომსახურება. რაც შეეხება ფასს, იგი გადაწყდება ინდივიდუალურ რეჟიმში, მხარეთა შეთანხმებით პერსონალის რაოდენობისა და პერიოდის (სასწავლო პროცესის პერიოდი, არდადეგები და სხვა) გათვალისწინებით, მაგრამ იგი არ იქნება 1 საათში 15 ლარზე ნაკლები, რასაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებისა და თქვენ მიერ სპორტული დარბაზებით მომსახურეობაზე ადრე გაცემული თანხმობები (სხდომის ოქმი №10; 16.11.2007 წ).

2) გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე დიდია მოთხოვნა, უნივერსიტეტის, როგორც უზუფრუქტუარის სარგებლობაში არსებული ფართების იჯარით გაცემისა და საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე. ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სურვილი

აქვს ცალკეული ფართები გასცეს იჯარით დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების მოზიდვის მიზნით, კერძოდ:

სასწავლო კორპუსი II – ჯამში 50 კვ.მ. წიგნების, პრესის რეალიზებისათვის, ასლგადამღები აპარატის, საკანცელარიო ნივთებისა და სწრაფი გადახდის ავტომატის განსათავსებლად;

სასწავლო კორპუსი X – ჯამში 50 კვ.მ. წიგნების, პრესის რეალიზებისათვის, ასლგადამღები აპარატის, საკანცელარიო ნივთების, ბანკომატის, სწრაფი გადახდის ავტომატის განსათავსებლად;

სასწავლო კორპუსი XI - დაახლოებით 1194 კვ.მ. კვების ობიექტისა და ა/სკოლის ფუნქციონირებისათვის; ასევე ჯამში 50 კვ.მ. წიგნების, პრესის რეალიზებისათვის, ასლგადამღები აპარატის, საკანცელარიო ნივთების, ბანკომატისა და სწრაფი გადახდის ავტომატის განსათავსებლად;

ასევე მოგახსენებთ, რომ ბაგების სტუდქალაქის პირველ საცხოვრებელ კორპუსში შესაძლებელია იჯარით გაიცეს კვების ობიექტის მოსაწყობად დაახლოებით 1000 კვ.მ. ფართი (ადრე ფუნქციონირებდა სასადილო სტუდენტებისათვის); ბაგების სტუდქალაქის I კორპუსში – დაახლოებით 50 კვ. მ. და II კორპუსის წინ დაახლოებით 100 -150 კვ.მ. მინი მარკეტისათვის. გარდა აღნიშნულისა ბაგების სტუდქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულია 3 სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს მოწესრიგებას და შესაძლებელი იქნება მისი სპორტული დანიშნულებით გამოყენება.

როგორც მოგეხსენებათ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კველვითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით".

გთხოვთ თქვენს თანხმობას ზემოაღნიშნული ფართების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

გაიმართა მსჯელობა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. აზრი გამოთქვეს წამომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გ. ჟორჟოლიანმა, ც. ბარამიძემ, რ. ქურდაძემ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 20

მომხრე – 20;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:
გაიცეს თანხმობა უნივერსიტეტის ცალკეული ფართების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი ავთანდილ აბდუშელიშვილი